საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2018

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2018 წლის განმავლობაში დავების განხილვის სამსახურში წარმოდგენილა 2176 საჩივარი.



საანგარიშო პერიოდში გაიმართა დავების განხილვის საბჭოს 31 სხდომა.



საბჭოს სხდომებზე განხილულია 1200 საჩივარი

დინამიკა წლების მიხედვით



განხილული საჩივრების სადავო თანხამ შეადგინა 296 მილიონი ლარი.

მიღებულ გადაწყვეტილებებში დაფიქსირებული სადავო თანხების დინამიკა წლების მიხედვით

(მილიონი ლარი)



2018 წლის გადაწყვეტილებები:

მიღებული გადაწყვეტილებებით სრულად და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 365 საჩივარი, 638 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 197 საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.

საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი საჩივრების რაოდენობის მიხედვით (2018წ.)



საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი სადავო თანხების მიხედვით (2018 წ.)



მომჩივნები

საჩივრების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ინდივიდუალური მეწარმეების და ფიზიკური პირების მიერ:



დავის საგნები

განხილულ საჩივრებში უმეტესად წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
4. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
5. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
6. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება
7. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება
8. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა.
9. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები
10. ამხანაგობაში მომსახურების შეტანის გრძელვადიანი კონტრაქტის შესაბამისად მომსახურების მიწოდებად განხილვა

11. მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრა
12. სალაროს ნაშთის ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო სარგებლის თანხის აღნიშნული პირის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად მიჩნევა
13. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის განსაზღვრის გამო განხორციელებული დარიცხვა
14. არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა
15. არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების უკუდაბეგვრის დღგ-ით დაბეგვრა
16. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები